თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3208127

ნომერი: AR1467744

თარიღი : 30.12.2016

გაცემის თარიღი : 18.04.2017

გაცნობის თარიღი : 18.04.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯანაშია , N12/16 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხორავა , N14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მეგრელიშვილი პ/ნ 01030006742
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2835045
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.09.2016

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა იქნა თქვენი ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჯანაშიას ქ. N12/16 / ხორავას ქ. N14-ში განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურებას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არ იქნა გამოსწორებული სამსახურის 23.03.2017წ. №№3163995 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები, კერძოდ, წარმოდგენილი ნახაზების საფუძველზე ჩანს, რომ შემცირებულია გამწვანების ფართობი, რითაც შემცირებულია კ3 გამწვანების მინიმალური კოეფიციენტის საანგარიშო ფართი, თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი საანგარიშო კროკი და შესაბამისი კ3 კოეფიციენტის ანგარიში.
ხარვეზის გასწორების მიზნით წარმოდგენილია კ3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკი, რომლის თანახმადაც კ3-ის საანგარიშო ფართობია 28.7 კვ.მ (კ3=0.1), მაგრამ გამწვანება არ შეიძლება მდებარეობდეს წარმოდგენილი კროკის შესაბამისად ისეთ არეალში, სადაც წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით განთავსებულია შენობის ნაწილები. ამასთან, 15.09.2016წ. №2835045 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში კ3-ის საანგარიშო ფართობი იყო 20 კვ.მ, ხოლო 15.09.2016წ. №2835045 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევის შედეგად, წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით გაუქმებულია გამწვანების ნაწილი, რითაც კ3-ის საანგარიშო ფართობი უნდა შემცირებულიყო, ხოლო წარმოდგენილი კროკის მიხედვით მითითებულია გაზრდილი ფართობი, რაც არ შეესაბამება როგორც შეთანხმებულ დოკუმენტაციას, ასევე დადასტურების მიზნით წარმოდგენილ ანაზომებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას ქ. თბილისში, ჯანაშიას ქ. N12/16 / ხორავას ქ. N14-ში განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ საკითხი განმეორებით იქნება განხილული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.